ცნობის ფურცელი

№ 2527 ხუთშაბათი, 17 ივნისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2527

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„М əамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდელი არსენი ჯორბენაძე და მეუღლე მისი სეფორე, სიმონ გაბრიელის ძე ჯორბენაძე, თევდორე მაქაცარია, ლასიონ ჯორბენაძისა, ნინა მაქაცარიასა, ელენე ბალდავაძისა, ალექსანდრა, ბარბარე და მარია არსენის ასულნი ჯორბენაძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველნი—უძვირფასესის შვილისა მათისა, მეორენი—დაუვიწყარის ცოლის ძმისა და დანარჩენნი—ძვირფასის ძმის ქუთაისის სასულიერო სემინარიის მეორე კლასის მოსწავლის

მაკარი ჯორბენაძის

გარდაცვალებას. მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ნიგოითის წმიდა გიორგის ეკკლესიაში სოფელ ნიგოითში (ოზურგეთის მაზ.), 24 ივნისს, 10 საათზე დილით. (1—00—1)

Feriencolonieu. Colonie des vacances.

„პატარა-ცემი“-ს საზაფხულო სამყოფი ექიმის ვახტანგ დ. ლამბაშიძისა მოზარდ-ქალ-ვაჟთათვის, ხედ ბაკურიანის რკინის გზაზე, ბორჯომის მახლობლად, მთა ადგილზე, ფიჭვნარში, 4,400 ფუტის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლ-ნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჰაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უკი და ნოყიერი საზრდო, ყოველგვარი ვარჯიშობა, წყლით ექიმობა და სხვა.

არ მიიღებიან მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელისამე მიზეზისა გამო მთა ადგილს ყოფნა არ არგებს.

ხანა: ორი თვე, 15 თიბათვიდან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებითი ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ან წერილობით შეიძლება მიჰმართონ ექიმს ვ. ლამბაშიძეს, ტფილისი, ნიკოლოზის ქ. № 46. (0—19)

ტფილისში ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ა. ა. ალიხანოვის მშვენივრათ მორთულ საკანდიტერო დარბაზში იყიდება ტროფიკულე ლალიმის საუკეთესო ქარხნის ნამდვილი ხილ[illegible]ულის მშვენიერი გემოსი [illegible] არომატის წყალი ზომიერ ფასებში. (20—ნქ.—9)

ბუნების მეტყველების უმაღლეს კურსის სტუდენტი, დახელოვნებული რეპეტიტორი ეძებს გაკვეთილებს. ბორჯომის ქუჩა № 10, სტუდენტი ქავთარაძე. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება საღამოს 5—7 საათამდე. (5—ნ.—7)

ტფილისის კერძო სამკურნალო მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

ექიმები:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. ლიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. ძულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. სობოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.

ვ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შეა აწქება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ბ. მ. სობოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები შეთანხმებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ბ. (წლ.) ტელეფონი № 274.

ქუთაისში ექიმი ბ. დ. ნასარიძე მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ახტიპარომაკლიძისა. (20—20)

ქუთაისში კბილის ექიმი ნ. ა. დემიდოვი (აზორინის შესახვევი, საკუთარი სახლი) მიიღებს ყოველ დღე. პლომბის გაკეთება და კბილების ჩასმა. (30—140—16)

რედაქციისაგან.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“

1-ლ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მ.— კ.

1-ლ ივლისიდან „ „ „ 3 მ. 50 კ.

ადრესის გამოსაცვლელად—ვინც ერთი ქალაქიდან მეორეში გადადის, უნდა გადაიხადოს 40 კ. ვინც ტფილისიდან გადის—1 მან.

კბილის ექიმი ი. პ. ახალშენიშვილი (ელიზაბედის ქუჩა, № 38). მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

მკურნალი მიხეილ გედევანიშვილი იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით. ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ. საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. ყინწვისის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

სია

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“, რომელთაც გადაიხადეს საწევრო ფული 1904 წ. მაისის განმავლობაში.*)

№№	სახელი და გვარი	მან.	კ.
84	გიორგი ყაზახიშვილი . . .	6	—
85	გიორგი ჩუბინაშვილი . . .	6	—
86	სიმონ ჟორჟოლაძე . . .	6	—
87	გერასიმე ქიქოძე . . .	6	—
88	იასე ვაჩნაძე . . .	6	—
89	არჩილ ფალავანდიშვილი . .	6	—
90	თამარა სოსელიანი . . .	6	—
91	ეკატერინე ფურცელაძე . .	6	—
92	სპირიდონ ვირსალაძე . .	6	—
93	თომა ტურიაშვილი . . .	6	--
94	ყარამან ჩიქოვანი . . .	6	—
95	იაგორ მამაიაშვილი . .	6	—
96	ეკატერინე მესხი . . .	5	—
97	ისაკ ალხაზაშვილი . . .	6	—
98	ვარლამ ჭიჭინაძე . . .	6	—
99	გიორგი ჩახნაშვილი . .	6	—
100	ნიკოლოზ ჭრელაშვილი . .	6	—
101	ილია ზურაბიშვილი. . .	6	—
102	სალომე მაღალაშვილი . .	6	—
103	ვასილ ენუქიძე . . .	6	—
104	მარიამ რატიშვილი . . .	6	—
105	ციცინო ერისთავი . . .	6	—
106	ზაქარია მაჭავარიანი . .	6	—
107	სიმონ ღორთქიფანიძე . .	6	—

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ივნისი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მისს უდიდებულესობას 14 ივნისს: „13 ივნისს იაპონელებმა იერიში მიიტანეს ჩვენის არმიის იმ ჯარზე, რომელიც აღმოსავლეთით იდგა და რომელსაც პოზიციები ეჭირა ფინშუილინისა, მოდულინისა და დალინის უღელტეხილების წინ. ჩვენმა ცხენოსნებმა და ქვეითა რაზმებმა, რომელთაც უკან დაიხიეს, გამოარკვიეს, რომ სამსავე უღელტეხილისკენ მოდიოდა იაპონიის ძლიერი რაზმები. დალინის უღელტეხილისკენ სხვა ჯარს გარდა მოდიოდა აგრეთვე გვარდიის დივიზიაც. იაპონელებმა პირდაპირ მოქმედების გარდა დიდძალი ჯარი გაჰგზავნეს და მოუარეს იმ ჩვენ რაზმებს, რომელთაც ფენშუილინის და მოდულინის უღელტეხილები ეჭირათ. ფენშუილიდან ჩვენმა ჯარმა ტიტხეში დაიხია. 14 ივნისს აქ იმათ თავს დაეცა იაპონელთა პატარა რაზმი, რომელიც უკუგდებულ იქნა. 13 ივნისს, საღამოთი, იაპონელებმა ჩვენი მოწინავე ჯარი ვანდიაპუძიდან დალინის უღელტეხილისკენ დასწიეს. 14 ივნისს, დილით, იაპონელებმა განაგრძეს იერიში ჩვენის პოზიციის წინააღმდეგ დალინის უღელტეხილზე. ჩვენი მოწინავე ჯარი რამდენსამე ხანს იგერიებდა იაპონელთა ბრიგადას და სამ ბატარეიას, რომელნიც პირდაპირ მოდიოდნენ, მაგრამ შემდეგ ჩვენმა ჯარმა უკან დაიწია, რადგან იაპონელებს სხვა რაზმები გაეგზავნათ ჩვენის ჯარის მოსავლელად. დაზვერით ირკვევა, რომ იაპონიის სამხრეთ არმიის ჯარის ნაწილი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ მიდის კუროკის ჯართან შესაერთებლად. შუადღისას ამბავი მოვიდა, რომ სენიუჩენთან ჩვენ ცხენოსნებს ცხარე ბრძოლა ჰქონდათო. როგორც ამ უკანასკნელ დღეებში მიღებულ ცნობებიდანა სჩანს, იპონიის ის ლაშქარი, რომელიც ჩვენის მანჯურიის ჯარის წინააღმდეგ მოდის, შესდგება ქვეითა ჯარის 8—9 დივიზიისა და სარეზერვო ჯარის რამდენიმე ბრიგადისაგან. იაპონელებმა რეზერვებიც წინ წასწიეს“.

(დამის დეპეშები იხილე მე-3 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. როგორც ყოველთვის, ეხლაც მეტად არეული ცნობები მოდის შორეულ აღმოსავლეთიდან, მაგრამ ის-კი ცხადად სჩანს ყველაფრიდან, რომ რუსები და იაპონელები დიდი ბრძოლისათვის ემზადებიან და მეტად ბეჯითად ეკიდებიან საქმეს.

„ტაიმს“-ისა და „სტანდარდ“-ის სამხედრო თანამშრომლები ჰფიქრობენ, ამ ორ კვირაში დიდი ამბები მოხდება სამხედრო მოქმედების ასპარეზზეო. „ტაიმს“-ის თანამშრომელი ჰფიქრობს, იაპონელებმა, ალბად, ყველაფერი წინადვე ივარაუდეს და მოისაზრეს, ამიტომ უეჭველად დაამარცხებენ რუსებსაო. „სტანდარდ“-ის თანამშრომელი არ ეთანხმება ამ აზრს და შენიშნავს, იაპონელებმა მარჯვე წამი დაჰკარგეს, დაიგვიანეს და ვინ იცის, ეხლა საქმე როგორ დატრიალდესო. („რ. ლ.“).

„დეილი ქრონიკლ“-ს დეპეშით ატყობინებენ ნიუჩუანიდან: რუსები გაიპინგის სამხრეთით ძამ შველ ჯარსა ჰგზავნიან; იქ, ალბად, დიდი ბრძოლა მოხდება. ჩინელები ნიუჩუანიდან სხვაგან მირბიან. დაჭრილი რუსები რკინის გზით დაშიცაოში მოჰყავთ და მერე ჩრდილოეთისკენ ჰგზავნიან. („ძ. ვ.“).

„დეილი მეილ“-ი სწერს: გაიპინგთან (გაიჩჟოუსთან) მალე დიდი ბრძოლა მოხდება. ამბობენ, რუსის ჯარს თვითონ გენერალი კუროპატკინი გაუწევს ხელმძღვანელობასაო. იაპონელებს ამ ბრძოლის დროს 8 დივიზია, ანუ 175 ათასი კაცი ეყოლებათო. („რ. ს.“).

„ნოვოსტი დნია“-ს დეპეშით ატყობინებენ ლიაოიანიდან: „9 ივნისი. იაპონელები სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან გაიჩოუსა, დაშიცაოსა, ხაიჩენისა და ლიაოიანისაკენ მოდიან. ხმა დადის იაპონელი სარდლები გაიჩოუს, ან დაშიცაოს ერთსა და იმავე დროს ორის მხრიდან დაეცემიანო. თუ იაპონელები გაიჩოუს დაიჭერენ, მაშინ თავიანთ ბაზად კორეის მაგივრად, ლიაოდუნის ნახევარ კუნძულსა და ინკოუს გაიხდიან. ჩაპანლინს ახლო ხაიჩენის გზაზე ყაზახების პატარა რაზმი ჩასაფრებულ იაპონელებს წააწყდა. რკინის გზით ლიაოიანში ჯარი მოვიდა. ორიოდე დღეს კოკი-პირულად წვიმდა; ეხლა წვიმამ გადიღო და ისევ სიცხე დადგა; ატალახებული გზები გაშრა და ჯარს სიარულს აღარ უშლის“.

„ტაიმს“-ი იუწყება: სარწმუნოდ გავიგეთ, რომ ვაფანგოუდან გაიჩჟოუსკენ 70 ათასი იაპონელი ჯარის-კაცი წავიდა; 90 ათასი ჯარის-კაცი-კი პორტ-არტურთან იბრძვისო. („რ. ლ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის სამხედრო თანამშრომელი გრაფი რევენტლოვიც ჰფიქრობს, გაიპინგს ახლო მალე დიდი ბრძოლა მოხდებაო. იქნება ამ ბრძოლაში იაპონიის ფლოტმაც მონაწილეობა მიიღოსო. („რ. ს.“).

ზოგიერთი კორესპონდენტი-კი ირწმუნება, დიდი ბრძოლა გაიპინგთან-კი არა, უფრო ზევით ჩრდილოეთისაკენ, დაშიცაოს ახლო მოხდებაო.

„სენტრალ ნიუს“-ის სააგენტო იუწყება: ამბობენ, რუსის ჯარი გაიპინგიდან ისევ ჩრდილოეთისაკენ იხევსო. ბრძოლა სადგურ დაშიცაოსთან მოხდება, იქ, სადაც ლიაოიანისა და ნიუჩუანის (ინკოუს) რკინის გზები ერთად იყრება. („რ. ს.“).

„სტანდარდ“-ს დეპეშით ატყობინებენ ტიანძინიდან: თუმცა რუსებს დიდი ჯარი ჰყავთ გაიჩჟოუსთან, მაინც ჰფიქრობენ, რომ რუსები ჩრდილოეთისაკენ დახევას აპირობენო. („მ. ვ.“).

იაპონელები ოფიციალურად აცხადებენ, ვაფანგოუსთან (ტელისსთან) რუსებმა 10 ათასი კაცი დაჰკარგეს, მოკლული, დაჭრილი და ტყვედ წაყვანილი; იაპონელებმა-კი ამ ბრძოლის დროს 1181 კაცი დაჰკარგეს: მოკლული 217 კაცი, ამათ შორის 7 აფიცერი და დაჭრილი 964 კაცი, ამათ შორის 43 აფიცერი. („ნ. დ.“).

გერმანული გაზ. „ლოკალ ანცაიგერ“-ი ჰფიქრობს, დიდი ბრძოლა გაიპინგთან-კი კი არა, ხაიჩენთან მოხდებაო. რუსებმა ლიაოიანიდან დიდი ჯარი გაგზავნეს ხაიჩენში. გენ. კუროპატკინს ამ ბრძოლის დროს მოპირდაპირედ გენ. ნოძუ ეყოლება. („რ. ლ.“).

„დეილი ქრონიკლ“-ს ატყობინებენ ფუზანიდან: რუსებმა ძლიერი რაზმები გაჰგზავნეს გენ. კუროკის მარჯვენა ფრთის წინააღმდეგ (საიმაძისა და აიანძინისაკენ). გენ. კუროკის რაზმებიც ყველგან წინ უხვდებიან; მოწინავე და მზვერავ რაზმებს ყოველ დღე შეტაკება მოსდით. („რ. ვ.“).

„დეილი ნიუს“-ის სამხედრო კორესპონდენტი იუწყება: იაპონელები მეტად ბეჯითად მოქმედებენ ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზე. ღამე, თუ დღე ერთს წამს არ ისვენებენ და დაუღალავად წინ მიდიან. პორტ-არტურთანაც ბეჯითად მოქმედებენ. მარტო ალყის შემორტყმას არ დასჯერდებიან და უსათუოდ შტურმით აიღებენ პორტ-არტურსაო. („ბ. ვ.“).

ვაშინგტონიდან დეპეშით იუწყებიან: აქ სარწმუნო ცნობა მოვიდა, იაპონელები მარტო ალყას შემოარტყამენ პორტ-არტურს და ჯერ-ჯერობით ციხის შტურმს არ აპირობენო. პორტ-არტურის აღება გენ. ნოგის არმიას მიანდეს. ეს არმია ცინჩოუს სამხრეთით, პორტ-არტურს ახლო გადავიდა ხმელეთზე. გენ. ოკუს არმია-კი ჩრდილოეთისაკენ, გაიჩჟოუსაკენ წავიდა. („რ. ლ.“).

„რეიტერის სააგენტო“-ს დეპეშით ატყობინებენ ჩიფუდან: 9 ივნისს ღამეს და 11 ივ-

---

*) გაგრძელება.—იხ. „ცნ. ფ.“ № 2524

ნისს დილით პორტ-არტურის მხრიდან ძლიერი ზარბაზნის სროლის ხმა მოდიოდა; სროლამ რამდენსამე საათს გასტანა. („რ. ს.“).

„დეილი მეილ“-ის სამხედრო კორესპონდენტი ერნსტ ბრინდლი დეპეშით იუწყება ნიუჩუანიდან: რუსები იმდენ დაჭრილ ხალხს ჰგზავნიან სამხრეთიდან ხარბინში, რომ წამალი და სხვა საექიმო მასალა აღარა ჰყოფნითო; ამის გამო დაჭრილებს ხან-და-ხან თავის დროზე ვერ უწევენ დახმარებასაო. („რ. ლ.“).

„ტაიმს“-ს დეპეშით ატყობინებენ ნიუჩუანიდან: ვაფანგოუსთან 2 ივნისს დაჭრილმა რუსის აფიცერმა ილაპარაკა, ვაფანგოუსთან რუსებმა 7 ათას კაცი მაინც დაჰკარგესო; იაპონელები ისე მედგრად იბრძვიან, რომ მთელს ქვეყნიერობაზე ვერა ჯარი ვერ გაუმაგრდება იაპონიის ჯარსაო. იაპონიის არტილერია საკვირველის წესითა და ძლიერებით მოქმედებდა. რუსებიც მეტად მედგრადა და თავგანწირულად იბრძოდნენ, მაგრამ იაპონელების საოცარ იერიშს ვერ გაუძლესო. („რ. ლ.“).

ფრანგული სამხედრო გაზეთები სწერენ: ვაფანგოუსთან იაპონიის არტილერიამ აჯობა რუსის არტილერიას. ერთგან იაპონელების 12 ბატარეიამ რუსების 13 ზარბაზანს დაუშინა ყუმბარა და ხელად გაანადგურაო. („რ. ლ.“).

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: რუსის მეცხენე ჯარი ნიუჩუანიდან გაიპინგში წავიდა. მდინარე ლიაოს აღმოსავლეთით რუსები ახალ სანგრებს აშენებენ. 10 ივნისს რუსებმა ჩინელები თავიან სახლებიდან აჰყარეს და შიგ სალდათები დააყენეს. ამბობენ, ნიუჩუანიდინ 8 მილის მანძილზე (დაშიცაოსთან) რუსის ჯარი დგას თითონ გენ. კუროპატკინის უფროსობითაო. („მ. ვ.“).

„ლოკალ ანცაიგერ“-ის კორესპონდენტი იუწყება: პორტ-არტურში შეპარვას ვაპირებდი ნავით, მაგრამ იაპონელების კრეისერმა დამიჭირა და არ გამიშვაო. აქედან სჩანს, რომ იაპონელები ზღვიდანაც ბეჯითად ადევნებენ თვალყურს პორტ-არტურსაო. („ნ. დ.“).

იაპონიის ფოსტას ჯარის კაცებისათვის განსაკუთრებული ღია წერილები დაუბეჭდია. წერილები ამნაირადაა შედგენილი: „კარგადა ვარ. ადრესს არ გატყობინებთ, იმიტომ რომ არ ვიცი, ხვალ სად მოვექცევი, მაგრამ ამ წერილზე დაბეჭდილი ადრესი რომ სწორედ გადასწეროთ, თქვენი წერილი უსათუოდ მომივა. მომიკითხეთ ყველა ნათესავი და ნაცნობი“. ამისთანა წერილს ჯარის კაცი მხოლოდ ხელს მოაწერს, ან ხის ბეჭედს დაჰკრავს—ბეჭედი თითქმის ყველა იაპონელს აქვს—შინ გაჰგზავნის და ნათესავებს თავის ამბავს შეატყობინებს. იაპონიის ფოსტამ იმ აზრით დაამზადა ასეთი ღია წერილები, რომ ჯარის კაცები სამხედრო მოქმედების ასპარეზზე მეტად მოუცლელად არიან. („ნ.“).

ამას წინად ჩვენც გადმოვთარგმნეთ იაპონელ დიპლომატის ბარონ სუემასუ-ს საუბარი ფრანგულ გაზ. „ტან“-ის თანამშრომელთან. ბარონ სუემასუს გამოუცხადებია: „ტან“-ში ეწერა, ვითომ მე მეთქვას, იაპონია მეგობარ სახელმწიფოს შუამავლობასა და მორიგებაზე ლაპარაკის ჩამოგდებას ხალისით დასთანხმდებაო. ამის მსგავსი არავისთვის არა მითქვამს რაო. („რ. ლ.“).

ამას წინად დეპეშამ გვაცნობა, იაპონიის მთავრობამ მანჯურიაში ახლად დაჭერილ ადგილების მეფის მოადგილედ მარშალი ოიამა დანიშნაო. ლონდონიდან დეპეშით ატყობინებენ „პოლიტიშე კორესპონდენც“-ს: ეს ტყუილი ცნობაა; მარშალი ოიამა მარტო იაპონიის ჯარის მთავარ-სარდლად დაინიშნა. იაპონიის მთავრობამ მრავალჯერ გამოაცხადა, მანჯურია ჩინეთის იმპერიის ნაწილს შეადგენსო, ამიტომ ამ პროვინციის მეფის მოადგილედ არავის არ დაჰნიშნავს. („რ. ს.“).

ახალი ამბავი

◆ **„კავკაზ“-ში დაბეჭდილია:** რადგან ყოველ წლივ მატულობს საერობო გადასახადების დარჩენილი ფული (ნედოიმკები), კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ განკარგულება მოახდინა, მიღებულ იქნას შესაფერი ზომები, რომ ამიერ-კავკასიის გუბერნიებსა და ოლქებში სრულად მოიკრიბოს როგორც დარჩენილი ფული წინა წლებისა, ისე ეხლანდელი გადასახადები.

◆ სახელმწიფო საბჭოს შეიწყნარა და უმაღლესადაც დამტკიცებულ იქმნა ფინანსთა მინისტრის მოხსენება **ბათუმში საქარხნო და სამთო** მადნის საქმეთა საკრებულოს დაარსების შესახებ. ქუთაისის გუბერნიის საქარხნო საქმეთა უფროსი ინსპექტორი ამიერიდან უნდა იწოდებოდეს ბათუმის ოლქის, ქუთაისის გუბერნიისა და სოხუმის ნაწილის საქარხნო საქმეთა უფროს ინსპექტორად.

◆ ტფილისის გუბერნატორმა აცნობა მაზრის უფროსებს, დახმარება აღმოუჩინონ **პროფესორს ა. ხახანაშვილს**, რომელიც მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოებამ გამოჰგზავნა საარქეოლოგო აზრით ტფილისის გუბერნიაში.

◆ იმ კომისიამ, რომელიც ტფილისის **ქუჩების მოკირწვლის** საქმეს განაგებს, დაადგინა, სამუშაოების ხელმძღვანელად მოიწვიოს ინჟინერი, ალხაზოვის ნაცვლად. თვეში ამ ინჟინერს 150 მანეთი ექმნება.

◆ როგორც საგარეჯოდან გვატყობინებენ, ს. „ვაშლიანთან“ (ტფ. მაზრა) საგარეჯოს სოფლის საზოგადოების მინდვრის ყარაულებს აბელ დარისპანიშვილს, დათიკო მარინაშვილს და სხ. **თავს დასხმიან** შეიარაღებულნი თათრები სოფ. იორო-მუღანლოს მცხოვრებნი, რიცხვით რვა კაცი, და საქონლის წართმევა სდომებიათ. ატეხილა სროლა, რომლის დროსაც ყარაულებს მოუკლავთ თოფით სამი იორო-მუღანლოელი თათარი: ნასიბ-ნამაზ-ოღლი, გაჯი-მამედ-გაჯიმ-ბაირამ-ოღლი და მამედ-გაჯი-ოღლი.

◆ პოლიციამ დააპატიმრა პოლკოვნიკის **ლაზარევის მკვლელნი** ერევნის გუბერნიის მცხოვრებნი მალხაზიანცი და საფაროვი. მკვლელნი გამოტეხილან.

◆ **მეტივეებმა შუამდგომლობა** აღძრეს გუბერნატორის წინაშე და სთხოვეს დახმარება გაუწიოს, რომ ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობამ ვერის ხიდს ზემოდ გამართოს ტივების გასაჩერებელი. მეტივენი თანახმანი არიან, იხადონ ფული ტივების გაჩერებისთვის.

◆ როგორც მკითხველებმა იციან, ტფილისის ქალაქის გამგეობამ **სტამბოლიდან უკვე მიიღო** პირველი პარტია (50 ათასი ცალი) გრანიტის ქვისა, რომლითაც ქუჩები უნდა მოიკირწვლოს. ქალაქის გამგეობას ამ ქვისად დაბარებული აქვს იჯარადარის თ. ქესის-ოღლუსაგან 200,000 ცალი. როგორც ვუწყით, ეს საქმე მოაგვარა და გააკეთა ახლად დაარსებულმა ამხანაგობამ „გეორგია“-მ. რადგან დაბარებული ქვა ძალიან კარგის თვისებისა გამოდგა, 15 ივნისს საბჭოს კომისიამ დაადგინა, გადასდოს 62,100 მანეთი და დაიბაროს ბ-ნ ქესის-ოღლუსაგან 600,000 ცალი ქვა კიდევ. უკვე მიღებულ ქვით მოიკირწვლება მიხეილის ქუჩა ვორონცოვის ძეგლიდან მიხეილის საავადმყოფომდე. კომისიას აზრადა აქვს, დანარჩენი ნაწილი მიხეილის ქუჩისა უსახელო საზოგადოებასთან შეთანხმებით მოაგოს ასფალტით. გრანიტისავე ქვით მოიკირწვლება ნაბერეჟნი ქუჩა ვაჟთა და ქალთა პირველ გიმნაზიების წინ. რიყის ქუჩა მოიკირწვლება ტყიბულიდან დაბარებულის ქვით.

◆ ტფილისის მოქალაქე აბელინოვი 500 მანეთის ზარალს ედავებოდა ქალაქს. მოსამართლემ აბელინოვს მიუსაჯა 500 მან. ეს საქმე ქალაქის იურისკონსულტის თანაშემწეს ქანანოვს განუსაჩივრებია ოლქის სასამართლოში და რადგან საჩივარში ისე გამოუყვანია, ვითომ ქალაქი უჩიოდა აბელინოვს და არა წინააღმდეგ, სასამართლოს უყურადღებოდ დაუტოვებია ქანანოვის საჩივარი და გამოუცხადებია, ასეთი საქმე არ არის შემდგარიო. ამაზე ქალაქის გამგეობამ პასუხი მოსთხოვა ქანანოვს, რომელმაც განაცხადა, შეცდომაში შემიყვანა გადამწერმა მახვილაძემაო. განმეორებით გამგეობამ მოსთხოვა ცნობების წარდგენა ქანანოვს. ეს საქმე ქალაქის გამგეობამ განიხილა 16 ივნისს და დაადგინა, გამოეცხადოს სასტიკი შენიშვნა იურისკონსულტის თანაშემწეს ქანანოვს და ეუწყოს: თუ კიდევ განმეორდა ასეთი შეცდომა სასამართლოს სტოლში, იგი სამსახურიდან დათხოვნილი იქნება.

◆ როგორც დიღმიდან გვატყობინებენ, მუხათ-გვერდში მცხოვრებს რამდენსამე თათარს მოჰქონებიათ ტფილისს რძე გასასყიდად. დესაც ისინი ღრმა-ღელეში მისულან, თავს ცემია ხუთი შეიარაღებული კაცი. წაურთ ფულად 175 მანეთი და ვერცხლის ქამარი, ბული 50 მანეთად, და თითონ ალექსანდრ დისკენ გაქცეულან. დაზარალებულთ უცნ ამ ახალშენის მკვიდრთათვის და საერთო გზა შეუკრავთ ბოროტ-მოქმედებისთვ მელთაგან სამი შეუპყრიათ, ორი კი მტ გადავარდნილა. ამ ორიდან ერთი დამხრჩ მეორე გასულა ნაპირს და გაქცეულა. გამო აღმოუჩენია, რომ ერთი მათგანი ყოფილა სელი გრ. ვართიკოვი, მეორე კისისხ (გორის მაზრა) მცხოვრები ლევან იონათამიშ ხოლო მესამე ბასილეთის (ოზურგეთის მა მცხოვრები სიმონ გოგობერიძე. დამხრჩვალ გამომდგარა სოფ ჩაჩაბეთის მცხოვრები პ ფირე ჟღენტი, ხოლო გაქცეულის გვარი გ გაუგიათ.

◆ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უბნის ზ დამხედველმა ირაკლი ფურცელაძემ განცხადე გადასცა გუშინ ქალაქის გამგეობას იმ კომისიი თვის გადასაცემად, რომელსაც საბჭომ მიანდ მისის მეუღლის მიერ ქალაქის მიწის მითვისებ საქმის გამორკვევა. ფურცელაძე სთხოვს კომ სიას, ნება მიეცეს, განმარტებანი წარუდგინ და საქმის ვითარებაც ეკითხოს მოწმეებს. რად გან გაზეთებში შეცდომით ჰბეჭდავენ ხოლმე საქმის შესახებ ცნობებს, ვსთხოვ კომისიას,—ამბობს ფურცელაძე,—თავის სხდომებზე გაზეთე ბის თანამშრომელნიც მიიწვიოს ხოლმე.

◆ 24 ივნისს ტფილისის სამოსამართლ პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმ „ჩერნომორსკი ვესტნიკ“-ის რედაქტორ-გამომ ცემლისა, რომელსაც დიფამაცია ჰბრალდება.

◆ ტფილისის ბავშვთათვის მზრუნველ ს ზოგადოების გამგეობამ სთხოვა გუშინ ქალაქ გამგეობას 800 მანეთით შემწეობა აღმოუჩინო საზოგადოებას.

◆ პოლიციის მე-6 ნაწილის ბოქაულმა სთხო გუშინ ქალაქის გამგეობას, გაჰგზავნოს არქიტექტორი 18 ივნისისათვის კრასილნი ქუჩაზედ თევდორ გრიქუროვის სახლის შესამოწმებლად, რომელიც ი დარღვეულა, რომ ლამის ჩამოიქცეს.

◆ პოლიციის მე-7 ნაწილში, არბოშენის ქუჩა ზე, ვართანოვის სახლში რაღაც მიზეზისა გა სიღნაღის მაზრის მცხოვრები ივანე შიუკაშვილი [illegible] სჩხუბებია ტფილისის მაზრის სოფელ [illegible] მცხოვრებს გიორგი [illegible]რუაშვილს. ჩხ[illegible] შიუკაშვილმა დანა ჩასჩრა ზურგში [illegible] და მძიმედ დასჭრა. დამნაშავე დააპატიმრეს.

დღევანდელ №-სთან ხელის მო ურიგდებათ **სურათებიან დამატების** მე-22 №, რომელშიაც მოთავსებულია: „სოლო ნი ლიდიაში“, ფილოსოფიური ამბავ თარგმ. ტატო—ძესი; სურათები: გენ. სა სონოვი, გენ. გენგროსსი, გრაფი ამფელ პოდპოლკოვ. სპირიდონოვი; „ხელმწ დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასულ საცვლებს ჰკერავს დაჭრილ მეომართათვის“; სურათები იაპონიის ცხოვრებიდან და ერ კარიკატურა.

ფელეტონი

წერილები პარიზიდან

VI

საფრანგეთი დაცემულია თუ არა?

ერთს ჩვენს წერილთაგანში გაკვრით შევეხეთ იმ კითხვას, რომელიც მთელს ქვეყანას აინტერესებს, ხოლო საფრანგეთის ერს მწარე საგონებელში აგდებს. ეს კითხვა გახლავთ კითხვა საფრანგეთის ერის გადაგვარებისა და თვით საფრანგეთის დაცემისა, წინსვლის მაგიერ უკან დახევისა და ყოველმხრივ ჩამორჩენისა. ერთს დროს საფრანგეთის ერის ბედის ვარსკვლავი ძლიერად კაშკაშებდა, ყველასათვის სანატრელი იყო მისი დღე; ფრანგთა გონებრივი წარმატება, ქონებრივი წინსვლა, მათის სახელმწიფოს ძლევამოსილობა ყველასათვის თითით საჩვენებელი გახლდათ. საფრანგეთი პირველობდა დედა-მიწაზე, მოქიშპე და ჩამოდექის მთქმელი არავინა ჰყავდა. და ისიც ლაღად ჰშლიდა თვისის ძლიერების ფრთებსა, კმაყოფილი აწმყოთი, ბედნიერ მომავლის მოიმედე, უდარდელი, უფიქრელი.

განვლო დრო-ჟამმა. ასპარეზზე გამოვიდნენ სხვა ერნი და სხვა სახელმწიფონი. ჯერ დაუმხარდამხარდნენ საფრანგეთს, მერე თან-და-თან გაუსწრეს კიდეც. ამ გარემოებამ თვით საფრანგეთში და საფრანგეთის გარეშეც ბევრი დააფიქრა. რაკი საფრანგეთი თავში არ უდგას სხვებს, მისი კალო გაილეწა, ეს ქვეყანა დაეცაო. ამ პესიმისტურმა და უნუგეშობის აზრმა, განსაკუთრებით ამ ოცის წლის განმავლობაში მოიკიდა ფეხი. რაკი ეს აზრი დაიბადა, მიზეზის ძებნასაც შეუდგნენ, და რაკი მიზეზს მიაგნებდნენ, მის ასაშორებელ წამალსაც მონახავდნენ.

ამ კითხვის მკვლევარმა ზოგმა ის აზრი წარმოსთქვა, რომ საფრანგეთმა თვისი სიცოცხლე, შემოქმედებითი ნიჭი სავსებით გამოიჩინა, წარსულში აღწია დიდების უმწვერვალეს წერტილამდე და ახლა, მეტი გზა არ არის, იქიდან ძირს უნდა დაეცესო. რაკი იმისი წირვა გამოვიდა, სხვას უნდა უტიოს გზა, ვითარცა ადამიანმა, რომელმაც განიცადა ხანა ყრმობისა, ვაჟკაცობისა და ბოლოს სიბერეში გადასდგა ფეხი. სხვები კიდევ ამბობენ, რომ, მართალია, სხვებმა გაუსწრეს საფრანგეთს, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ საფრანგეთი დაეცაო. არა, საფრანგეთი, ვინც რა უნდა სთქვას, სწორმართო გზას ადგას და დღეს არა, ხვალ თავისს დონეში ჩადგებაო.

ოღონდაც რომ საინტერესო იყო ამ საგნის შესახებ საზოგადოებას მოესმინა აზრი თვისის მოწინავე წევრებისა, აზრი საჯაროდ და უშიშრად გამოთქმული, ერთი-მეორესთან დაპირისპირებული, აწონ-დაწონილი და მიუკერძოებელი. საფრანგეთის ერის ამ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება თავს იდვა ერთმა ცნობილმა ფრანგულმა ყოველკვირეულმა გაზეთმა „ეროპენ“-მა („ევროპელი“). ამ გაზეთის რედაქცია შეეკითხა მთელის მსოფლიოს გამოჩენილ მსწავლულთ, საპოლიტიკო მოღვაწეთ, მწერალთა, არტისტთა და სხვ. საფრანგეთი, ეს ნებიერი ქვეყანა მსოფლიოსი, ეს კერა ქვეყნიერობის განათლებისა და წინსვლისა, ისე უყვარს ყველას, მისი ბედი და უბედობა ისე აღელვებთ სხვა და სხვა ერთა, რომ გაზეთის მოწოდებას მრავალ მხრიდან უპასუხეს. და წარმოიდგინეთ, ამ წერილთა შორის ორი თუ სამი თუ-და ასი უსასოო, პესიმისტური, ორის თუ სამის წერილის ავტორს თუ-და ჰგონია, რომ საფრანგეთი დაღუპულია, რომ საფრანგეთის ერმა დღენი თვისნი მოსჭამა და სააქათპირი არ უჩანს. უმრავლესობა კი წერილებისა იმედით აღსავსეა, საფრანგეთს ბრწყინვალე დღეს, წარმატებას და ბედნიერებას უქადიან საბედნიეროდ და სანუგეშოდ ქვეყნიერობისა. ხსენებულ წერილთა გაცნობა სათითაოდ მეტად გაგვიგრძელებდა სიტყვას და ამიტომ ვარჩიეთ მკითხველს მათი საზოგადო აზრი გავაცნოთ და საინტერესო საგანი ამნაირად დავუყენოთ თვალწინ.

ამა თუ იმ სახელმწიფოს ანუ ერის დავრდომილების ნიშნად ზოგიერთს მიაჩნია მცხოვრებთა რიცხვის კლება (დაბადებათა შემცირება), ეკონომიური დაქვეითება, სწავლა-განათლების მხრივ უკან ჩამორჩენა, ზნეობითი გახრწნილება და სხ. ერთის სიტყვით, ეს თუ ის ქვეყანა წეს-აგებულია, თუ გაქრნენ მასში ის პირობანი, რომელნიც სვიანობას ანიჭებენ და სხვათა სახარბიელოდ ხდიან.

მხოლოდ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ დღეს წინსვლის ან უკან ჩამორჩენის ნიშნად ის კი არ ითვლება, რაც ამ ერთის საუკუნის წინად მიაჩნდათ ამგვარ ნიშნად და წინაუკმო, რაც ასის წლის წინად ძლიერების ნიშნად ითვლებოდა, დღეს უკუღმართობად რაცხვენ.

ამ ასის წლის წინად საფრანგეთი ერთ უძლიერეს სამხედრო სახელმწიფოდ ითვლებოდა. მ ძლევამოსილი მეთაური ნაპოლეონი შიშის ზარ სცემდა მთელს ქვეყანას კიდით-კიდე, მთელ სამყაროს დაპყრობას და საფრანგეთად ქცევ უპირობდა. მთელი ნაჭირნახულევი და ნაოფლ ხალხისა მხედრობას ეწირვებოდა ზვარაკად. სხ სახელმწიფონი საფრანგეთს თვალ-წარბში მ უყურებდნენ და ვერავინ უბედავდა ეთქვა—თვა შავი გაქვსო. დღეს-კი ძირითადი ცვლილებ მოხ იმავე საფრანგეთის შვილნი იმას-და სცდილობე რომ დამყარდეს ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება; ჰქადაგებენ საერთო ძმო ბას, თანხმობასა და სიყვარულს; ილაშქრებ ომიანობის წინააღმდეგ. და, წარმოიდგინეთ, ახლ მოძღვრება საფრანგეთს უფრო აღიდებს, თვა სახიოდ ხდის, ვიდრე აღრინდელი უთვალავ ჯარი, სამხედრო გამარჯვებანი, ქვეყანათა დაპყრო ბანი, ათასობით მუსრვა ადამიანთა, განადგურ მშრომელის ხალხის მონაგარისა. ასეთი მოძღ რება და მისი განხორციელება ჩაჰყრის ურყევ საძირკველს და ზედ სამარადიო კედლებს აღმა ყვანს საფრანგეთის დიდებისას, მისის სახელ ნებისას. დიდებული როლი ხვდა წილად კეთს, დიდებული აზრი დაიბადა და მისთა შვილთა გონებაში. და მთელის კაცობრ ბის განთავისუფლების ხსნის აზრისა და მოძღ რების მატარებელს ერს განა-და შეიძლება დ დომილი, გადაშენების გზაზე მდგარი ვუწოდოთ?!

საფრანგეთში ხალხი კლებულობს და კ ლობს კიდევ იმიტომ, რომ მთელი ერი შენების გზას ადგიაო. და ამას რა ჰქვია

რუსეთის ქრონიკა

◆ ქ. ხარკოვიდან სწერენ გაზ. „პეტ. ვედომ."-ს, რომ გუბერნიის 10 მაზრაში მოუხდენიათ ჯარების მობილიზაცია. ომში გაგზავნილ, ჯარის კაცთა უპატრონოდ დარჩენილ ოჯახებს სოფელმა და ერობამ უნდა წიოს დახმარება, რომელნიც უსახსრობის უსაჭიროეს მოთხოვნილებათა დაკმა ლებასაც ვერ უძლვებიან. მარტო ხარ ს გუბერნიიდან გაწვეულია შორეულ ავლეთში გაგზავნილ ჯარების მეშვიდე ი და ამ გაგზავნილთა ოჯახების დასა ფილებლად ერობას 250 ათასი მანეთი უდვია—იმ დროს, როცა გამოანგარი ულია, რომ ამ ოჯახებს თვეში, სულ ტა რომ ვთქვათ, 150 ათასი მანეთი შე კობა სჭირდებათ.

◆ გაზ. „ვოლინ"-ი იუწყება, რომ ვოლ. გუბ. სოფ. ხარკოვცაში ამას წინად მკვდარი ბავშვი უნახავთ. ადგილობრივ სოფლის მოხელეს, ურიადნიკს, მკვლელის აღმოსაჩენად თავი მოუყრია სოფლის ყველა გაუთხოვარ ქალებისათვის და სასოფლო ბებიის დახმარებით გაუტიტვლებია ეს ქალები, ძუძუები გაუსინჯავს და რომელსაც რძე აღმოსჩენია, დაუტუსაღებია, როგორც ბავშვის მკვლელი დედა.

პრესსა

„ნოვ. ვრ."-სა და „რუსსკოე სლ."-ს თუ დავუჯერეთ, რუსეთ-იაპონიის ომს მეტად დიდი გავლენა აქვს მთელს აზიაზე. „ნოვ. ვრ." გვარწმუნებს, აზიელები იმდენად გათამამდნენ და გამხნევდნენ, რომ ეხლავ შეუდგნენ პლანების გამორკვევას, თუ როდის რომელ მხარედან გააძევონ ევროპიელებიო: ჯერ-ჯერობით შორეულ აღმოსავლეთის საქმის გადაწყვეტას მოელიანო და მალე ჯერი აზიის სხვა ნაწილებზე მიდგებაო; ასე მთელი აზია უნდა განთავისუფლდეს „ევროპიელთა მძიმე უღლისაგანაო" პანაზიატიზმის იდეაო—გვარწმუნებს გაზეთი,—სწრაფად ვრცელდება აზიაში იმის მიხედვით, რამდენად წინ იწევს იაპონიის ჯარი ბრძოლის ველზე. ჩინელებს შემდეგ იაპონელების წინ წაწევა ყველაზედ უფრო ინდოელებს ახარებსო—სწერს „რუსსკ. სლოვო". ინდოელთა გაზეთები გაფაციცებით თვალყურს ადევნებენ ომს და მკითხველთ უნერგავენ იმ აზრს, რომ იაპონია მთელის აზიის განთავისუფლებისთვის იბრძვისო; ამით გაზეთები ხელს უწყობენ თვით იაპონიის პროპაგანდას აზიელთა შეერთების შესახებო. ჯერ-ჯერობით ინდოელები „მშვიდობიან ბრძოლის" ტაქტიკას ადგანან, მაგრამ მოვა დრო ეს ტაქტიკა უფრო საშიში გახდებაო... შეიძლება, „ნოვ. ვრე.", „რუსსკ. სლ." და სხვა გაზეთები ინგლისის წინააღმდეგ ჩვეულებრივის შოვინიზმით არიან გატაცებულნი და აზვიადებენ საქმეთა მდგომარეობას, მაგრამ მაინც საინტერესოა ზოგიერთი ფაქტი და მოსაზრება, რომელნიც ასე თუ ისე ახასიათებენ აზიელთა აწინდელ ფიქრსა და დარდსა. აი, სხვათა შორის, რა ამოუკითხავს „რუსსკ. სლ."-ს ინგლისურ გაზეთებიდან:

ინდოელებს მოჰყავთ იაპონიის მაგალითი და ამტკიცებენ, ჩვენც მშვენივრად შეგვიძლია ევროპიელთა დაუხმარებლად ვუპატრონოთ ჩვენს ქვეყანასაო. ჯერ-ჯერობით ჩვენი ცდა იქნება თანდა-თან შემოვალებინოთ ინგლისელთ რეფორმები—ადმინისტრატიული და სასამართლო. უპირველესად ყოვლისა ყველა თანამდებობა ინდოელთ ხელში უნდა გადავიდეს. ინდოეთი უნდა გადაიქცეს კანადათ, ესე იგი, სარგებლობდეს სრულის ავტონომიით; ინგლისის მეფის მოადგილე ინდოეთში იმავე როლს უნდა ასრულებდეს, როგორსაც კანადაში ინგლისის გუბერნატორი: მას მინიჭებული აქვს ყოველივე პატივი, როგორც მეფის წარმომადგენელს, მაგრამ არავითარი უფლება არა აქვს. ინგლისელებს ეჭვი აქვთ, რომ პოლიტიკურ მოთხოვნათა ეს პროგრამა ინდოელებს იაპონელებმა შეუმუშავეს და რომ აგიტაციის მეთაურნი ის ინდოელნი არიან, რომელნიც იაპონიის უნივერსიტეტებში იღებენ უმაღლეს განათლებას. ინგლისელები ლონისძიებას იღებენ წინააღუდგნენ ინდოელთა „მშვიდობიან ბრძოლას", მაგრამ ეს ლონისძიებანი სულ სხვარიგად მოქმედობენ ინდოელებზე: ესენი უფრო და უფრო მედგრად და თამამად თხოულობენ რეფორმათა პროგრამის განხორციელებას.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 ივნისი

ტოკიო. მარშალი ოიამა და გენერალ-მაიორი კოდამა 23 ივნისს მიდიან მანჯურიაში.

ტოკიო („ვოლფის სააგენტო"). ოფიციალური ცნობა. დაგუშანის არმიამ 6 საათის ცხარე ბრძოლის შემდეგ დაიჭირა ფენშუილინი. რუსებმა ტომხჩენისკენ დაიწიეს. იაპონელებმა 100 კაცამდე დაჰკარგეს.

ბერლინი („ვოლფის სააგენტო"). სიმართლეს მოკლებულია უცხოელთა გაზეთებში გავრცელებული ხმა, ვითომ გერმანია აძლიერებდეს თავის ესკადრას შორეულ აღმოსავლეთში.

16 ივნისი

ლიაოიანი. გენერალ-ადიუტანტმა კუროპატკინმა შემდეგის ბძანებით მიმართა ჯარებს: „იაპონელებთან ბრძოლის დროს თუ ხელში ჩაგვივარდებიან მოკლული, დაჭრილი ან დატყვებული იაპონელები, გთხოვთ პატივისცემით მოეკიდოთ მამაც მტერს: მკვდრები სამხედრო პატივით დაასაფლავეთ, დაჭრილებს კი ისე მოუარეთ, როგორც ჩვენ საკუთარ დაჭრილებს." ეს განკარგულება იმიტომ გამოსცა მთავარ-სარდალმა, რომ ხმები მოდიოდა, იაპონელები რუსის დაჭრილებს ჩინებულად უვლიან თავის საავადმყოფოებშიო. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს მოხსენება მოვიდა იმის შესახებ, რომ იაპონელებმა ზოგიერთ რაზმებში მხეცურად დატანჯეს დაჭრილი რუსებიო. „ვესტნიკ არმიი" იუწყება, რომ 27 მაისს საიმაძიში იაპონელებმა დაკლეს რუსის ორი მსროლელი, რომელთა გვამები დამახინჯებული ნახეს. გადარჩენილი მსროლელები ამბობენ, რომ იაპონელებს შორის შეიარაღებული ჩინელები იყვნენ და შესაძლებელია ამათ დატანჯეს ორი მსროლელიო. „ვესტნიკ არმიი" სწერს, რომ აქამდის იაპონელები ისე იქცეოდნენ, როგორც შეჰფეროდა სამხედრო პატიოსნების კანონთა მცოდნე და ლმობიერ მტერს, მაგრამ ამ ბოლო დროს ამბები მოდის იაპონელთა მხეცურ საქციელის შესახებ. ამიტომ ეჭვის თვალით უნდა უცქიროთ იაპონელთა ნაქებ მიდრეკილებას განათლებისა და ადამიანობისადმი. იაპონელი სალდათები, რომელნიც აფიცრებს არ უჭირავთ ხელში, შეუპოვრობით ძველ ბარბაროსებს არ ჩამოუვარდებიან. იაპონიის ხალხი საკმაოდ განათლებული არაა, რომ ევროპის განათლებულებულ ხალხთა შორის ადგილი დაიჭიროს.

მთავარ-სარდალმა წმ. გიორგის მესამე ხარისხის ჯვარი უბოძა პრიმორსკის პოლკის დრაგუნს ვოლკოვს, რომელმაც ჩინური ტანისამოსი ჩაიცვა, დაბრუნდა იაპონელებისაგან დაჭერილ ადგილზე, 13 კაცისაგან შემდგარ მტრის მზვერავ რაზმს შეხვდა, რომელთაც გამოჰკითხეს რუსის ჯარის რაოდენობისა და წყობილების ამბავი, შემდეგ ეჭვი მოიტანეს იმაზე და შინჯვა დაუწყეს; ამ დროს ვოლკოვმა უეცრად რევოლვერი ამოიღო, მოჰკლა რამდენიმე კაცი, იაპონელ კავალერისტის ცხენს შეახტა, გააქანა და გადარჩა.—ჩინელები იუწყებიან, რომ ვაფანგოუსთან ბრძოლაში იაპონელთა მარჯვენა ფრთა დიდად დაზარალდა, ყველა პატრონა და ყუმბარა დახარჯა, ქარავანი მიატოვა და თავზარდაცემული გაიქცაო. იაპონელები კიდევ ისვრიან ისეთ ყუმბარებს, რომელნიც აფეთქების შემდეგ მომწამლველ გაზებს ავრცელებენ ჰაერში. ამგვარი ყუმბარები აკრძალულია საერთაშორისო ხელშეკრულობით.

მუკდენი. ამ ბოლო დროს ხუნხუზთა ბრბოები უფრო მძლავრად მოქმედებენ რკინის გზის ლიანდაგის დაყოლებაზე, მაგრამ, მოსაზღვრე დარაჯთა მეოხებით, მათი მოქმედება უნაყოფო რჩება. ხუნხუზებს ყველგან დიდად აზარალებენ.—„ფოსსიშე ცაიტუნგის" კორესპონდენტი იუწყება ჩიფუს გზით, რომ იაპონიის ჯარის მთავარ სადგურში რუსების ახალ თავდასხმას ელიან.

გენზანი. პატარა რაზმები ავიწროებენ მტერს ხარბინსა და გენზანს შუა, ამიტომ იაპონელებმა თავისი ოჯახები დასავლეთ სანაპიროს უშიშარ ადგილებში გაჰგზავნეს.

სახალინი. სახალინზე სიწყნარეა.

16 ივნისი

გიანგცე („რეიტ. სააგ."). მოვიდა გენერალი მაკდონალდი მაშველ ჯარით. ამას წინად გამწვავებული ბრძოლა ჰქონდა მტერთან ნაიკის მონასტრის ახლოს. ბრძოლაში ინგლისის ექსპედიციის ჯარმა მიიღო მონაწილეობა. ინგლისელების ზარალი: 5 მოკლული და 6 დაჭრილი.

ლზე დაკისა და ჭერის დათე-
ისის პირველ რიცხვებიდან

კრუშევაცი. გაზ [illegible] ყოველი [illegible] ჯარად კოსსოვის ველზე მოკ [illegible] შინ [illegible] ვრად. ძეგლის კურთხევასთან, ხოლო მეორე ტრე და მთავრობის წევრნი ერთად მიაში

სტამბოლი. რედიფთა [illegible] ატარებს მთელს დაიჭირა ტელეგრაფის კონტორა [illegible] იყო შემზა- [illegible] 11 მაისიდან განაცხადა, იმ დრომდი არ მოვ [illegible] ჯავახეთში ადგილს, სანამ არ გაგვანთავისუფლებენა ადგითადრიგო ჯარში არ ჩაგვრიცხავენო. [illegible] ბამდე დიაკოვში მეოთ რედიფთა ბატალიონებსაც [illegible] ელ ზრახვით შეუერთდნენ იმათ. შესაძლებელია დააჩქარონ ბძანების გამოცემა ამ ჯარის დათხოვნის შესახებ. მომხდარ დემონსტრაციების გამო, სამხედრო ადმინისტრაცია იმ აზრს დაადგა, რომ ჯარები არ უნდა დაითხოვონ, რათა ამნაირად დაცულ იქნას სამხედრო დისციპლინა.

ჰამბურგი. მოვიდა მეფე ედუარდი. რკინის გზის სადგურზე მიეგებნენ ბურგომისტრი და სენატორები. მეფემ ნავთსადგურში გაისეირნა და შემდეგ ბირჟაზე წავიდა. სავაჭრო პალატის პრეზიდენტმა მეფის სადღეგრძელო დალია. მეფემ მოკლედ და გულწრფელად მადლობა გამოუცხადა კეთილ მასპინძლობისათვის. შემდეგ ქალაქის თვითმმართველობაში წავიდა, სადაც სენატმა საუზმე გაუმართა. ბურგომისტრმა მადლობა გამოუცხადა მეფეს, რომელიც ყურადღებით მოექცა და ეწვია ქ. ჰამბურგს და აღნიშნა ჰამბურგსა და ინგლისს შორის არსებული მტკიცე კავშირი. მეფემ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა გერმანულ ენაზე, რომელშიაც მადლობა გამოუცხადა ბურგომისტრს მასპინძლობისათვის და ჰამბურგის სენატის სადღეგრძელო დალია. საუზმის შემდეგ მეფე კილში წავიდა.

ხარკოვი. საგლეხო კანონმდებლობის გადამსინჯავმა საბჭომ საჭიროდ სცნო გოლოსტის სასამართლოში ადათების დატოვება, სასამართლოსთვის სამოქალაქო და მატერიალურ უფლების კანონთ-კრებულის შედგენა, სისხლის სამართლის წარმოებისათვის-კი სასჯელთა განსაკუთრებელ წესდების შემოღება. საბჭოს აზრით, სასოფლო წესდება მემკვიდრეობის შესახებ ნადელებსაც უნდა ეხებოდეს. სამოსახლო ადგილები საერთო მფლობელობაში თვითეულ ოჯახის საკუთრებად უნდა იქნას ცნობილი. ოჯახის პატრონს ოჯახის ყველა მოზრდილ წევრთა უთანხმოდ არ უნდა ჰქონდეს უფლება სამოსახლო ადგილის გასყიდვა-გადაცემისა.

ფორტ-დე-ფრანს. საფრანგეთის კრეისერი წავიდა კუნძულ ჰაიტისკენ.

ბერლინი. კუნძულ ჰაიტისაკენ გაგზავნილი გერმანიის სამხედრო გემი ამ მოკლე ხანში პორტ-ო-პრენსში მივა.

მოსკოვი. ტელეფონის საზოგადოების ინჟინერმა აღმოაჩინა, რომ ბოროტ-განმზრახველთ რამდენიმე ალაგას გაუწყვეტიათ ტელეფონის ძირითადი მავთული.

16 ივნისი

პეტერბურგი. „პრავიტელსტ. ვესტ."-ში დაბეჭდილია ახალი, 17 მაისს, 1904 წელს უმაღლესად დამტკიცებული, წესები საფოსტო-სატელეგრაფო უწყების სხვა-და-სხვანაირ სამსახურში. ქალების მიღების შესახებ.

პეტერბურგი. ვიატკის ვიცე-გუბერნატორი მირკოვიჩი გადააყენეს სამსახურიდან.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

ბენ, რომ გაუნათლებელი კაცი, უზრუნველი და წინდაუხედელი, აჩენს თავის მსგავსთა და კი არ ჰკითხულობს, წელი მოსდევს მათ აღსაზრდელად და ადამიანებად გამოსაყვანად თუ არა? კიდეც ამიტომ არის, რომ გაუნათლებელთა შორის აუარებელია მსხვერპლი სიღარიბისა, ავკაცობისა, მსხვერპლი თოფისა და ზარბაზნისა. ნუ თუ უნდა ვუკიჟინოთ საფრანგეთს მისი წინდახედულება, რომლის გავლენით უფრთხილდებიან იმაზე მეტის გაჩენას, რის მოვლის თავიც არა აქვსთ, გაჩენას ბოგანოთა და დატაკთა, რომელნიც ბარგად, ხორც-მეტად უნდა გაუხდნენ ქვეყანას და ქვეყნის წარმატებას!

საფრანგეთში ზნეობა დაეცაო და ეს უტყუარი ნიშანია ფრანგთა გადაშენებისა და დაცემისაო. ვინც საფრანგეთს უზნეობას უკიჟინებს, ნათქვამის დასამტკიცებლად მაშინათვე პარიზს წასწვდება ხოლმე, ჰგონია, რომ ფრანგი და პარიზელი ორივე ერთია, ხოლო პარიზელი თუ არ დროს მტარებლად და ზნე-დაცემულობის მომხრედ, სხვაფრივად ვერ წარმოუდგენია. ფრანგების ავადმხსენებელსა და მქარდავს ავიწყდება, რომ ვერსად ხმელეთზე ვერავისა ნახავთ, რომ პარიზელივით თავ-დავიწყებამდე გამსჭვალული იყოს მოძმის სიყვარულით, მისის კეთილდღეობის სურვილით. საუკეთესო წარმატების და კაცობრიობის აზრები საფრანგეთში დაიბადა, აქ შეისხა ხორცი; ფრანგები იყვნენ, რომ დიდი რევოლიუცია მოახდინეს და ქვეყანას თვალი აუხილეს. მკრეხელობა იქმნებოდა გვეთქვა—დაეცა საფრანგეთის ერიო, ის ერი, რომელმაც ბრძოლის მაგალითი გვიჩვენა ადამიანის უფლებათა მოპოვებისათვის; ის ერი, რომელიც მთელ ქვეყანას სხივს ჰფენს საზოგადოებრივის სიმართლისას, საერთო მშვიდობიანობისა და სამოქალაქო თავისუფლებისას. და ერთს დროს, ოდეს ახლანდელ სახელმწიფოთა წილ ევროპის შეერთებული შტატები დამკვიდრდება, ამ შტატების მნათობთა შორის საფრანგეთის ვარსკვლავი ყველაზე მეტად შუქ-მფენარე იქმნება.

განვიხილოთ ახლა საფრანგეთი ინტელექტუალურად, განვიხილოთ მისი სულიერი სიძლიერე, გონებრივი სალარო. თვალთ უჭრელდება ადამიანს, ოდეს საფრანგეთის გონებრივს ბუმბერაზობას შორიდან უცქერის და ამ მხრივ ფრანგებს სხვა ერთათანა ადარებს. ნათქვამის ცხად-საყოფელად მთელი დიდ-ტანოვანი წიგნი იქმნებოდა საჭირო, სტატისტიკურის ცნობებით აჭრელებული. თანამედროვე მეცნიერების აკვნად საფრანგეთი აღიარებიათ იმავე თავითვე ამ მხრივ სუფრის თავში დღესაცა ზის ეს ქვეყანა. საფრანგეთის შვილი, პასტერი, იყო, რომ მთელი რევოლიუცია მოახდინა ექიმობასა, ქირურგიასა და ბიოლოგიაში. თეორიულსა და პრაქტიკულს ექიმობაში პასტერის მეთოდი და გავლენა ნიადაგ დარჩება,

ქიმიური სინტეზი, ჩვენს ნივთიერს ცხოვრებას გარდაქმნას რომ უქადის, საფრანგეთის დიდებულის ქიმიკოსის ბერტლოს საქმეა. ფიზიკურს მეცნიერებაში ბეკრელისა და დე-კურის (ფრანგები არიან) აღმოჩენამ დიდს მანძილზე გაუსწრო რენტგენის აღმოჩენას (X—სხივების აღმოჩენა). თუ საფრანგეთი მრეწველობის მხრივ ერთს დროს ჩამორჩა მეზობლებს, ახლა ისევ უსწრებს სხვებს. ამ ჟამად თვითმავალას (ავტომობილების) ინდუსტრია საფრანგეთისა ცნობილია და მისვლა-მოსვლის საქმეს ძირიანად შეცვლას უქადის.

აიღეთ ახლა მწერლობა. ერნესტ რენანი, სული-პრუდომი, ფლობერი, ემილ ზოლა, ბოდლერი, პიერ ლოტი, ვიქტორ ჰუგო, ანატოლ ფრანსი და სხვანი განა შეეძლო წარმოეშობა გადაშენების და დაცემის გზაზე მდგარ ქვეყანას?

ახლა იკითხეთ სააზრო ხელოვნება: ქანდაკება, მხატვრობა, მუსიკა. სად, რომელს მხარეში ნახავთ ისეთს არტისტებს, რომ ფრანგთა არტისტებს დაეტოლონ? პარიზი ხომ მეორე მექად არის გადაქცეული სხვა ქვეყნის არტისტთათვის: აქ უნდა მოვიდნენ ხოლმე, ისწავლონ, თაყვანი სცენ აქაურობას, მოილოცონ და განსწავლულნი და ფრანგთა ნიჭიერების აღმაფრენით ტყვეთქმნილნი შინ დაბრუნდნენ.

ის სისწრაფე, რა სისწრაფითაც მიდის წინ საერთო განათლების საქმე საფრანგეთში, მართლა რომ გასაოცარია! ის ქვეყანა, სადაც ხალხი და მთავრობა საკვირველის თანხმობით იმის ცდაშიდა არიან, რომ მთელი ქვეყანა დაქსელონ პირველ დაწყებითის სკოლებით; ის ქვეყანა, სადაც სწავლების საუკეთესო მეტოდების შემუშავებისათვის ესდენ ზრუნავენ და ესდენი გააკეთეს; ის ქვეყანა, სადაც ნიადაგ და შეუწყვეტლად ჰქროლავს ქარი სინიდისის განთავისუფლებისა, თავისუფლების აზრთა გავრცელებისა, სამართლიანობისა და სიმართლის დამყარებისა,—ასეთი ქვეყანა განა-და შეიძლება დაცემული იყოს ან-კი დაეცეს როდისმე!

მაგრამ ეს რა არის! ნუ დაივიწყებთ, რომ ვლაპარაკობთ იმ საფრანგეთის შესახებ, რომელმაც საოცარის საქმის გაკეთება გაჰბედა: გაჰბედა აშხედრებულიყო კლერიკალიზმის წინააღმდეგ! საფრანგეთი აშხედრდა ისეთის მტრის წინააღმდეგ, რომელიც უფრო ძლიერი და უფრო საშიში იყო, ვიდრე ძველისა და ახალის ქვეყნის (ევროპა-ამერიკის) ყველა სახელმწიფონი, ერთად შეერთებულნი! ესდენ საუკუნეთა განმავლობაში კლერიკალიზმი მაჯლაჯუნასავით გულზე აწევს და სულს უხუთავს მთელს კაცობრიობას, მისი გავლენა ისე გაიზარდა, ისეთი ძალა შეიმოსა, რომ ვერავინ უბედავდა ეთქვა—შავი თვალი გაქვსო! მისს გათამამებულს ფარფაშს ფრთები საფრანგეთში უნდა შეჰკვეცოდა. მისთვის ომის გამოსაცხადებლად საჭირო იყო არაჩვეულებრივი სულიერი ძალა და შეუდარებელი მხნეობა. საფრანგეთმა ერთი თვისებაც გამოიჩინა სამუდამოდ და მეორეცა. მისმა ხალხმა და მთავრობამ პირდა-პირ მიიტანეს იერიში მტერზე, ომი ხელჩართული შეიქმნა და ამ ომიდან გამარჯვებული ისევ საფრანგეთი გამოვიდა.

საფრანგეთის ერმა კლერიკალიზმთან ბრძოლით ქვეყანას დაანახვა მაგალითი ბრძოლისა ჭეშმარიტების საკეთილდღეოდ. და ვისაც-კი სწამს პროგრესი, წარმატება კაცობრიობისა და ამ წარმატების გულწრფელი მომხრეა, საფრანგეთს ასეთს გადაშენებას ულოცავს, ულოცავს გადაშენებას, რომელსაც უნდა მოჰყვეს გონებრივი განთავისუფლება მთელის მსოფლიოსა. საფრანგეთმა თითქმის მთელის კაცობრიობის გული მოიგო, ხოლო გული მოიგო იმიტომ, რომ თვითონ ყოფილა მრთელი, ძლიერი და ცხოველმყოფელი, თვითონ ყოფილა სამარადისო. მისის არსებობის ხანგრძლივობა ყოველს ეჭვს გარეშე უნდა მიგვაჩნდეს. ასე რომ ყოველსავე ამის შემდეგ, ნუ თუ სასაცილო არ უნდა იყოს საფრანგეთის გადაშენების და დაცემის შესახებ ლაპარაკი!

თ. ს.

გამოვიდა და იყიდება ყველგან წიგნის მაღაზიებში

მ. მღვიმელი.
საყმაწვილო წიგნი სურათებით

15 კაპ.



10 კაპ. (6—168—6)

ГЕНЕРАЛЬНОЕ ОБЩЕСТВО

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000), ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთა საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ [illegible]

14) სამის თვის შეღავათს სავალდო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქროევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—20)

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამა წლის 22 აპრილიდან დავიწყე უკანასკნელი გაყიდვა, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნარდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

60—189—41) პატივისცემით **ბ. გ. ბერიევი.**

ფირფიტები აპპარატები

უმაღლესის **ხარისხისა**

ყველას აკრავს ფაბრიკის მარკა „მწერალი ამური".

კავკასიის უმთავრესი სააგენტო

სააქციონერო საზოგადოებისა **გრამმოფონ**

ტფილისი, გოლოვინის პროსპ., აბიანცის სახლი № 17.



კონკურენციის გა

გრამმოფონი „ტო

მემბრანით „ექსიბი

მემბრანის „ექსიბიშენ"-ის

ბით გრამმოფონი-ტონარ

ნად გაუმჯობესდა, **რომ**

აპპარატები

მთელს!! დედამიწაზე საუკეთე

უმთავრესი ღირსებანი „ტონარმისა" „ექსიბიშენის" მემბრანით შემდეგია:

ხმის გარკვევით გადაცემა!! თითქმის სრული უხმაურობა!! ხმის სიმშვენიერე!

გრამმოფონ „**ტონარმ**"ს „ექსიბიშენის" მემბრანით იაფი ტიპი

100 მანეთიდან 200-მდე.

მოყვარულთა განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენს ფირფიტებზე

„გიგანტ",

რომელნიც ძალიან მოსწონთ. ამ ფირფიტების დიამეტრი 12 დიუმია, რაც ნებას იძ
კა ამ ფირფიტაზე მოქცეულ იქმნას მთელი არიები, ანსამბლები, საცეკვაო ხმებ
სხვა **შეუმოკლებლად!!!**

ამ ფირფიტების დიდ დიამეტრის გამო, ჩვენმა ინჟენერებმა შესაძლოდ დაინახეს ხმის
ნლიერება, გამშვენიერება, გარკვევით გადაცემა; ამასთანავე დაცულია **ადამიანის ხმის**
ებრივი ტემბრი. ერთის სიტყვით ფირფიტა „**გიგანტი**" ადამიანის ხმას სავსებით გადმ
ასე რომ ცოცხალი მომღერალი გეგონება.

დიდი რეპერტუარი—15 ათასი დამზადებული ნომერი სხვა და სხვა ჟანრისა; ამათ ვუმატებთ
ორ კვირაში ახალ სერიების გამოცემით; ამასთან „**გრამმოფონის**" საზოგადოება ჭეშმ
დად სრულიად უნაკლულო ფირფიტებს ტეხნიკისა და მუსიკის მხრით.

ტეხნიკური სიკარგე ჩვენის აპარატებისა და შესანიშნავის ხმის ფირფიტისა, რომელნიც
დაცემენ მსოფლიოს გამოჩენილ მომღერალთა ხმებს, მთელს ჩვენს წარმოებას აყენებ

◆ კონკურენციის გარეშე ◆

კატალოგები მსურველთ უფასოდ **ეგზავნება.** ეხლახან გამოვიდა და იყიდება **ლიბრეტო**
მთელი კრებული გრამმოფონებისათვის. **რუსული** რეპერტუარი. ეს ლიბრეტო შეიცავს თით
600 ნომერს ოპერისა და ოპერეტის **არიებისას**, **რომანსებისას**, სიმღერებისას, ანსამბლე
ხოროებისას, კუპლეტებისას და ამბებისას. ამ კრებულის მეოხებით უთველს მსმენელს შე
იცნოს ხმები, რომელთაც გრამმოფონი ასრულებს. ფასი 1 მან. 50 კაპ. (20—10)

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვ

ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამი
საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარე
ბელთ ახლად დამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამო
ტფილისში საკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი
მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:

სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწესებ. ფასი მადაზ. 15 კაპ. ბოთლი $(^{1}/_{20})$ უწურწლ
კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „

ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავ
იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი
ვედრისა), ბურბლის ბე 6 კაპ.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. **ტელეფონი № 1013.**

შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით
დილი (ექსპორტ) და ღვინის ბურბლებში ჩასხმული. (50—35

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ქუთაისში

ი. „გოკიელოვის შვილები"-ს

სავაჭრო სახლში იყიდება საუკეთესო ღირსების შაბიამანი ნამდვილი ინგლისური
გოგირდის ყვავილი „სუბლემა"
მანქანა ვენახის სარწყავი „ვერმორელი"
მანქანები გოგირდის საბერავი.
რაფია ვენახს საკოინავი.
აგრეთვე ვერმორელის მანქანის ყველა ნაწილები ცალ-ცალკე. (1—142—16)



СѢДЕЛЬН

СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

Продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი ალუგოვისა, № 92, საზაფხულო სოპრა-
წის ახლოს. (—173—13)

ფეხსაცმელი



ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობ

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრავლ-მაღალები და სანდალიები. ყველა ამის შეძ
შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუ
კეთესო მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

СОПК

С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლ ე ო პ ო ლ დ ნ ე ი შ ე ლ ლ ე რ"-ის საწყობში.

ტელეფონი № 346 ერევნის მოედანი. (60—5.—57)